

მზს " ფარაკოს " ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული მდგომარეობით

შენიშვნა	2021 (ლარი)	2020 (ლარი)	2019 (ლარი)
აქტივები			
ძირითადი საშუალებები			
მანქანა- დანადგარები	491377	544665	-
სატრანსპორტო საშუალებები	73542	51645	-
ავეჯი და სხვა ინვენტარი	123062	85511	10158
1			
დაუმთავრებელი მშენებლობა (იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა)	-	130471	-
იჯარით აღებული შენობა - ნაგებობები	112279	-	-
არამატერიალური აქტივები			
ლიცენზიები(პროგრამული უზრუნველყოფა) სხვა გრძელვადიანი აქტივები	2	3593	2525
			-
სულ გრძელვადიანი აქტივები	803852	814816	10158.00
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები			
3	15134	6650	13236
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (მარაგები)			
ნედლეული და მასალები	507183	497285	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	-	-
შხა პროდუქცია	72319	1220	-
4	-	0	22090
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	-	-	-
მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან	27851	11225	-
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	-	-	-
(წინასწარ ანაზღაურებული ხარჯი)	5	38724	45090
საგადასახადო აქტივი	6	-	60487
			4090
სულ მოკლევადიანი აქტივები	661211	621956	115337
სულ გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივები	1465063	1436773	125495

**საკუთარი კაპიტალი და
ვალდებულებები**

ვალდებულებები			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	13280	369153	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	24099	-	-
მიღებული ავანსები	7	93156	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	-	-	-
გადასახდელი ხელფასები	2160	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	132696	369153	-
გრძელვადიანი სესხები	-	-	-
გადავადებული გადასახადი	-	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
პარტნიორთა საწესდებო კაპიტალი	8	3364082	1782021
გაუნაწილებელი მოგება		(2031715)	(714401)
			(16476)
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	1332367	1067620	125494
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1465063	1436773	125495

ხელმოწერა პირები

დირექტორი: არამ აკობიძე
ფინანსური მენეჯერი: მოკანაძე ნინო
მთავარი ბუღალტერი: თამარ გორილაშვილი



(Handwritten signature in blue ink)

**2021 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების
ანგარიშგება**

	საკუთარი კაპიტალი (ლარი)	გადაფასების ნამეტი(ლარ ი)	გაუნაწილებე ლი მოგება(ლარი)	სულ საკუთარი კაპიტალი(ლა რი)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	1782021	-	-714401	1067620
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა	-	-	(-)	(-)
გადაანგარიშებული ნაშთი	1782021	-	-714401	1067620
გაცემული დივიდენდები	-		(-)	(-)
დამატებითი ინვესტიციები	-	-	-	-
2021 წლის სრული შემოსავალი	3364082		-2031715.00	1332367
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3364082		-2031715	1332367

ხელმომწერი პირები

დირექტორი :

არამ აკბარო

ფინანსური მენეჯერი:

მოჰამმადრეზა შაფაათი

მთავარი ბუღალტერი: თამთა გოჩელაშვილი



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს „ფარაკო „

ს/კ 405354263

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერი



ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
2. ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:
 - 2.1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 - 2.2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება;
 - 2.3. კაპიტალის მოძრაობის უწყისი;
3. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ;
4. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები, სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.
5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება
6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები.



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლით დასრულებული წლისათვის
წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და
დამტკიცებაზე**

**2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო
საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს)**

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
 - ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას
 - დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე
 - საწარმოს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია
- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
 - ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
 - სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
 - კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
 - თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 10 სექტემბერს.

მპს „ფარაკო“ ს დირექტორი:

არამ აკბარი

ქ.თბილისი, საქართველო
2022 წ 10 სექტემბერი



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**შპს " ფარაკოს " ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული მდგომარეობით**

შენიშვნა	2021 (ლარი)	2020 (ლარი)	2019 (ლარი)
აქტივები			
ძირითადი საშუალებები			
მანქანა- დანადგარები	491377	544665	-
სატრანსპორტო საშუალებები	73542	51645	-
ავეჯი და სხვა ინვენტარი	123062	85511	10158.00
1 დაუმთავრებელი მშენებლობა (იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა)	-	130471	-
იჯარით აღებული შენობა - ნაგებობები	112279	-	-
არამატერიალური აქტივები			
ლიცენზიები(პროგრამული უზრუნველყოფა)	3593	2525	-
2 სხვა გრძელვადიანი აქტივები			-
სულ გრძელვადიანი აქტივები	803852	814816	10158.00
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები			
3	15134	6650	13236
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (მარაგები)			
ნედლეული და მასალები	507183	497285	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	-	-
მზა პროდუქცია	72319	1220	-
4 სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	-	0	22090
მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან	27851	11225	-



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომწოდებელზე გადახდილი ავანსები (წინასწარ ანაზღაურებული ხარჯი)	5	38724	45090	75920
საგადასახადო აქტივი	6	-	60487	4090
სულ მოკლევადიანი აქტივები		661211	621956	115337
სულ გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივები		1465063	1436773	125495

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

ვალდებულებები

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		13280	369153	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		24099	-	-
მიღებული ავანსები	7	93156	-	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		-	-	-
გადასახდელი ხელფასები		2160	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		132696	369153	-
გრძელვადიანი სესხები		-	-	-
გადავადებული გადასახადი		-	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-

პარტნიორთა საწესდებო კაპიტალი	8	3364082	1782021	141970.00
გაუნაწილებელი მოგება		(2031715)	(714401)	(16476)
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი		1332367	1067620	125494
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1465063	1436773	125495



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს " ფარაკოს" 2021 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის და სახვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2021	2020
საქონლის /მომსახურეობის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	შენიშვნები	(ლარი)	(ლარი)
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	შენიშვნა N9	471457	145299
მომსახურეობის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		0	30800
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	შენიშვნა N10	(305449)	(92668)
საერთო მოგება		166008	52631
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	შენიშვნა N11	(675395)	(299263)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(159741)	(124760)
იჯარის ხარჯი	შენიშვნა N12	(329884)	(284151)
	შენიშვნა N13		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(339253)	(49884)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1504273)	(758058)
საოპერაციო მოგება/ზარალი		(1338265)	(705427)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	შენიშვნა N14	20952	7502
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(1317313)	(697925)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება /ზარალი		(1317313)	(697925)

2021 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)



2021 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საკუთარი კაპიტალი (ლარი)	გადაფასების ნამუტი(ლარი)	გაუნაწილებელი მოგება(ლარი)	სულ საკუთარი კაპიტალი(ლარი)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	1782021	-	(714401)	1067620
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა	-	-	-	-
გადაანგარიშებული ნაშთი	1782021	-	(714401)	1067620
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
დამატებითი ინვესტიციები	-	-	-	-
2021 წლის სრული შემოსავალი	3364082	-	(2031715)	1332367
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3364082	-	(2031715)	1332367

ხელმოწერილი პირები

დირექტორი : არამ აკბარი



ფინანსური მენეჯერი: მოკამმადრუზა შაფაათი

მთავარი ბუღალტერი: თამთა გოჩელაშვილი

ცნობილია, რომ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ძირითადი საშუალებები (მართლმართალი)
 დამატებითი (მართლმართალი) გადამხდელი
 სხვა (მართლმართალი)

სხვა (მართლმართალი) გადამხდელი
 სხვა (მართლმართალი) გადამხდელი
 სხვა (მართლმართალი) გადამხდელი

სხვა (მართლმართალი) გადამხდელი
 სხვა (მართლმართალი) გადამხდელი
 სხვა (მართლმართალი) გადამხდელი

სხვა (მართლმართალი) გადამხდელი

სხვა (მართლმართალი) გადამხდელი

სხვა (მართლმართალი) გადამხდელი

სხვა (მართლმართალი) გადამხდელი

სხვა (მართლმართალი) გადამხდელი



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

კომპანიის შესახებ ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფარაკო“ (ს/კ.: 405354263) რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრი ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წლის 20 სექტემბრიდან.

საწარმოს ფაქტიური და იურიდიული მისამართი გახლავთ: თბილისი, გლდანის რაიონი, ავეტიკ ისაკიანის ჩიხი #2.

საწარმოს ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სამზარეულო ავეჯის და სხვადასხვა ტიპის ავეჯის წარმოება და რეალიზაცია.

შპს ფარაკო დაფუძნებულია 3 (სამი) არამეწარმე ფიზიკური პირის მიერ.

საზოგადოების წილები და კაპიტალში მათი მონაწილეობა 2021 წლის 23 ნოემბრის მდგომარეობით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მოჰამადრეზა შაფათი - 01191027917,P96673293,J34172813
(ირანის ისლამური რესპუბლიკა) – 5%

მეჰდი აკბარი - 01111103305
(საქართველო/ირანის ისლამური რესპუბლიკა) - 90 %

არაშ აკბარი - 61301094979
(საქართველო/ირანის ისლამური რესპუბლიკა) – 5%

ხოლო საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, კერძოდ 2021 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მეჰდი აკბარი - 01111103305
(საქართველო/ირანის ისლამური რესპუბლიკა) - 95 %

არაშ აკბარი - 61301094979
(საქართველო/ირანის ისლამური რესპუბლიკა) – 5%



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „ფარაკოს“-ის პირველ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ , ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას .ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელი დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები .ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით .

საგადასახადო კანონმდებლობა.

საწარმო თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ერთეულებამდე , გარდა იმ შემთხვევისა , როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე: - საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“; - საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“; - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში. ფულადი სახსრები კომპანიის წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ნომინალით.

შენიშვნა N 3

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად :

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ნაგარიშები
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები
სულ:

2021	2020
15134	6650
-	-
15134	6650



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპრიცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების გადასახადისაგან განთავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამიჯნულად.

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

გადახდილი ავანსები (წინასწარი გადახდები)

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

შენიშვნა N 5

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	27851	11225
გადახდილი ავანსები	38724	45090
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-
სულ:	66575	56315



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება.

ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე.

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდია - უწყვეტი -

სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია არის - „საშუალო შეწონილი მეთოდი“.

დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით.

სხვა აქტივების აღრიცხვა

მრავალჯერადი გამოყენების აქტივები რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.

სპეც-ტანსაცმელი და შრომის დაცის საშალებები აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.

ცალკეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

შიდა მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში აისახება და ყოველი თვის ბოლოს გახარჯული მარაგების მიხედვით ჩამოიწერება სხვა საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აცილებელობის ნივთები და მასალები (კატრიჯები, დისკები, ეკრანი ს გასაწმენდი სითხე და სხვა) აისახება მარაგებში და პერიოდულად ჩამოიწერება აქტის საფუძველზე და მიეკუთვნა კომპიუტერულ ხარჯებს.

მასალები რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის შემადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხარე ტექნოლოგიური საშუალება ჩამოიწერება შესაბამისი აქტის საფუძველზე.

სამშენებლო მასალები რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.



შენიშვნა N 4

**სასაქონლო მატერიალური მარაგები 2021 წლის მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად**

	<u>2021</u>	<u>2020</u>
ნედლეული და მასალები	507183	497285
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	<u>72319</u>	<u>1220</u>
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	-	-
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები:	<u>579502</u>	<u>498505</u>

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება:

ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით რომელიც მოიცავს :
ნასყიდობის ფასს ,განბაჟების ხარჯებს ,არადაბრუნებად გადასახადებს ,
ტრანსპორტირების,მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხაჯებს
საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების ღირებულებაში არ
შეიტანება მოგება (გეგმიური დაგროვება);
უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური
ღირებულებებით ;
ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება საბალანსო ღირებულებით ;
იმ შემთხვევაში , თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული
ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამგდგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად;
საწარმო ძირითადი საშუალებების გადაფასებას ახდენს ძირითადი საშუალებების
გადაფასების რეზერვიდან .
მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო
ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ ხარჯების
კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ბ) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც
დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში

ა)ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას.

სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში

შენობა- ნაგებობები - 20 წელი ;

მანქანა -დანადგარები 7 წელი ;

საოფისე ინვენტარი - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 3 წელი;

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა

აღიარების შეწყვეტა ძირითადი საშუალების აღიარება წყდება: (ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან (ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შემდეგ წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის

შენიშვნა N1

შენიშვნა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	საკუთარი ძალებით შექმნილი ძირითადი საშუალებები	ჯამი
ლარი								
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	2545	-	-	7613	-	-	10158
2020 წლის შესილვა	644265	57094	-	57278	38853	130470	-	927960
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-	-
შიდა ჯგუფური	-	-	-	-	-	-	-	-
რეკლამისფიკაცია	-	-	-	-	-	-	-	-
გადაფასების	-	-	-	-	-	-	-	-
რეზერვი	-	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის ბოლოს	-	-	-	-	-	-	-	-
მდგომარეობით	644265	57094	-	57278	38853	130470	-	927960
დაგროვილი ცვლილება 2020	-	-	-	-	-	-	-	-
წლის	-	(99599)	(11420)	-	(8079)	-	-	(124732)
განმავლობაში	-	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის ბოლოს	-	-	-	-	-	-	-	-
საბალანსო	544666	45674	-	51644	30774	130470	-	803228
მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	-
2021 შესილვა	37363	30405	130979	38840	46760	-	-	284347
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-	-
შიდა ჯგუფური	-	-	-	-	-	-	-	-
რეკლამისფიკაცია	-	-	-	-	-	-	-	-
გადაფასების	-	-	-	-	-	-	-	-
რეზერვი	-	-	-	-	-	-	-	-



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით. განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ასევე წრფივი მეთოდით. ამასთან სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის ინდივიდუალურად

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით.

შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდვის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის;

უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით;

შენიშვნა N 2

	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	2797	-	-	2797
დაგროვილი ამორტიზაცია 2020 წლის განმავლობაში	(272)			(272)
2020 წლის ბოლოს საბალანსო მდგომარეობით	2525	-	-	2525
2021 წლის შესყიდვა	2034	-	-	2034
გასვლა	-	-	-	-
დაგროვილი ამორტიზაცია 2021 წლის განმავლობაში	(966)	-	-	(966)
2021 წლის ბოლოს საბალანსო მდგომარეობით	3593	-	-	3593

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. მათი გადაფასება
საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის
გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია,
კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ვადაგადაცილებულ
დავალიანებებზე (კრედიტორული დავალიანებები, რომელიც არ არის დაფარული ანგარიშგების
თარიღისთვის)

შენიშვნა N 7

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	13280	369153
მიღებული ავანსები	93156	-
სულ	106436	369153

შენიშვნა N11

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში და
არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი
სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს მე-11 განყოფილების 11.2 (ბ) პუნქტის შესაბამისად, კომპანია ფინანსური
ინსტრუმენტების აღრიცხვას აწარმოებს ბასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარება და შემდგომი

შეფასება ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება:
მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური
აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. ყველა



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც საწარმო გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

აღიარების შეწყვეტა

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც საწარმომ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები.

საწარმო თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას. საწარმოს ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი

საწარმოს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებს საწარმოს საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა ნდობის შენარჩუნებას. ეს მიიღწევა ფულადი ნაკადების ეფექტური მართვით, საწარმოს შემოსავლებისა და მოგების, ასევე გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (სააქციო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით)



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნებში

შენიშვნა N 8

2021 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საკუთარი კაპიტალი (ლარი)	გადაფასების ნამეტი(ლარი)	გაუნაწილებელი მოგება(ლარი)	სულ საკუთარი კაპიტალი(ლარი)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	1782021	-	(714401)	1067620
საადრიცხო პოლიტიკის შეცვლა	-	-	(-)	(-)
გადაანგარიშებული ნაშთი	1782021	-	(714401)	1067620
გაცემული დივიდენდები	-	-	(-)	(-)
დამატებითი ინვესტიციები	-	-	-	-
2021 წლის სრული შემოსვლა	3364082	-	(2031715)	1332367
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3364082	-	(2031715)	1332367



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შენიშვნა N 6

2020 წლის განმავლობაში კომპანია ანხორციელებდა სასაწყობო და საოფისე ფართის კეთილმოწყობას. აღსანიშნავია ის რომ, კომპანია საქმიანობის პირველი წელი აქვს და შესაბამისად საინვესტიციო დანახარჯიც მეტი აქვს, რაც გამოიხატება, მანქანა დანადგარების, სასაქონლო მატერიალური ფასეულობები და სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობისთვის საჭირო რესურსების შეძენით.

აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიას წარმოშობილი აქვს საგადასახადო აქტივი (გადასახადის ზემეტობა) რაც წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020	2019
საგადასახადო აქტივი :	- (ლარი)	60487 (ლარი)	4090 (ლარი)

მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება საწარმოს წარმოემოხება მაშინ, როცა მოხდება მოგების განაწილება. იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა: თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს. საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა
საგადასახადო დავალიანების მუხლში.

შემოსავლების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

-შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით ;

-მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად ,თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება .

-შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე.
შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით;

შენიშვნა N9

ამონაგები 2021 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	2021	2020
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	471457	145299
მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	-	30800
სულ საქონლის და მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	471457	176099



საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

შენიშვნა N10

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ ხარჯებს.

კომპანია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებას ანხორციელებს, პროდუქციაზე ყველა პირდაპირი ხარჯების და ზედნადები ხარჯების გათვალისწინებით. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება მოიცავს - ნედლეულის შესყიდვის ფასს, ტრანსპორტირების ხარჯს, და ყველა პირდაპირ ხარჯს რომელიც საჭირო არის აღნიშნული პროდუქციის საწყობში მოტანამდე.

მზა პროდუქციის თვითღირებულება გაიანგარიშება - აღნიშნულ პროდუქტზე ყველა პირდაპირი და ზედნადები ხარჯის დარიცხვით კერძოდ, სასაქონლო მატერიალურ მარაგების შესყიდვის ფასს, ტრანსპორტირების ხარჯს, კონვერსიის ხარჯს, მუშათა ხელფასებს და ყველა იმ ხარჯს რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული პროდუქციის საწარმოებლად.

ხარჯების აღიარება

შენიშვნა N 13

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საადრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- ხარჯების აღრიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით;



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს;
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად;

იჯარა

შენიშვნა N 12

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიკური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

შენიშვნა N14


COVID 19

აღნიშნული მუხლი კომპანიის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში მოიცავს, საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საშემოსავლო გადასახადის შეღავათს დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებზე.

კერძოდ, საქართველოს კანონის მუხლის N 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N54, 12.10.2010, მუხ.343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

პუნქტი N2 309 -ე მუხლის: ა) 112 -ე და 113 ე ნაწილები,

ა) – 112- ე ნაწილი



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
2020 წლის 1 მაისიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში, აგრეთვე 2020 წლის 01 დეკემბრიდან
6 კალენდარული თვის განმავლობაში დაქირავებული უფლებამოსილია შეიმციროს (ბიუჯეტში
არ შეიტანოს) დაქირავებულისთვის გაცემული 750 ლარამდე ხელფასიდან დაკავებული და
გადასახადელი საშემოსავლო გადასახადი, თუ ამ დაქირავებულის მიერ ამავე დაქირავებულისგან 1
კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი 1500 ლარს არ აღემატება.

აღნიშნული შედავათი კომპანიისთვის (ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით)
განეკუთნება სხვა არასაოპერაციო შემოსავლებს.=

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას
მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად,
გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ
პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება
შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის
შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და
ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია

ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და
სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და
სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის
ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ
ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის
მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და
სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი
დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს
ფინანსურ ზარალს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი,
საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის
მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების
გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური
ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში
საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი)
ცვლილებებთან კავშირში.



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საპროცენტო რისკი

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია ცვალებადპროცენტიანი სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

საექვო ვალების რეზერვი.

საწარმო კლიენტის გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ვალდებულების წარმომადგომელი მოვლენა არის



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);

- კანონმდებლობიდან; ან

- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც: წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და - შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. 2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის

გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3,2766	4,0233
2021 წლის 31 დეკემბერი	3,0976	3,5040



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის
თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის
ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის
შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე
ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური
ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის
თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის
ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის
შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე
ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური
ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა. (10-09-2022)

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2022 წლის 10
სექტემბერს

